თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №51

26 ოქტომბერი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება ქალაქ თეთრიწყაროში, თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე ს/კN84.01.34.250-ით მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილის, შენობა-ნაგებობა N1-ის, ფ/პ ივანე კოტიდისათვის 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე